მიუხედავად ჩვენში შექმნილი რთული პირობებისა, ქართული სპორტი დამოუკიდებლად და თამამად მიაბიჯებს მსოფლიო სპორტულ სამყაროში. რესპუბლიკის ათლეტები, სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობით, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში წარმატებით გამოდიან სპორტულ სარბიელზე, ძალას და ენერგიას არ იშურებენ თავისუფალი სამშობლოსა და მშობელი ხალხის სადიდებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული ტანვარჯიში — მკლავჭიდი — ძიუდო

მიველ, ვნახე, გავიმარჯვე...

ეს სიტყვები შეუძლია თამამად წარმოთქვას ეკა აბრამიამ, რომელმაც ზედიზედ ოთხი საერთაშორისო ტურნირი მოიგო

ახალ პირობებში ქართული სპორტი თანდათან გადადის ახალ რელსებზე. ეს პროცესი, ცხადია, უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. ქართული სპორტის გადარჩენა და ტრადიციების შენარჩუნება დიდადაა დამოკიდებული სპონსორთა ქველმოქმედებაზე. ამის მაგალითი უამრავია. ერთ ასეთ კეთილ საქმეზე დღეს გიამბობთ.

მხატვრული ტანვარჯიშის ჩვენი ოსტატების სახელი საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ მათი ავტორიტეტი ამ დღეებში კიდევ უფრო ამაღლდა. სწორედ სპონსორების ხელშეწყობით გაემგზავრა გუნდი უცხოეთში მთავარი მწვრთნელის ნელი სალაძის ხელმძღვანელობით საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად. პირველი ტურნირი გაიმართა ორლეანში, სადაც 13 წლის თბილისელი გოგონა ეკა აბრამია უძლიერესი იყო. საფრანგეთშივე, ქალაქ ნიმეში კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. ეკამ აქაც ყველას აჯობა, გუნდმა კი მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ეკამ და ჩვენმა გოგონებმა ისე მოხიბლეს სპეციალისტები და მონტე-კარლოს საერთაშორისო შეჯიბრების ორგანიზატორები, რომ საქართველოს წარგზავნილები მონაკოშიც მიიწვიეს. იქ ჩვენების გამოსვლა არ იყო დაგეგმილი, მაგრამ დაინტერესება იმდენად დიდი იყო, ყველა ხარჯი მონაკოს ფედერაციამ გაიღო. ნელი სალაძის შეგირდმა ეკა აბრამიამ აქაც სასწაული მოახდინა, დიდი უპირატესობით დაჯაბნა მეტოქეები. სამივე ტურნირი ეკამ მრავალჭიდში მოიგო.

ამჟამად ჩვენი გოგონები ბელგიაში იმყოფებიან, გუშინ შევიტყვეთ, რომ იქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში ეკა აბრამია მრავალჭიდში კვლავ უძლიერესი ყოფილა. წარმატებაც ასეთი უნდა!

ბელგიაში ერთ კვირაში დაიწყება მსოფლიო პირველობა, სადაც უკვე მოზრდილები იასპარეზებენ. ჩვენები ჯგუფურ ვარჯიშში გამოვლენ, როგორც საერთაშორისო ფედერაციის წევრი ქვეყნის წარმომადგენლები, მსოფლიო პირველობის სარბიელზე საქართველოს წარგზავნილები დამოუკიდებლად პირველად წარდგებიან.

სურათზე: ეკა აბრამია.
(ფოტო „ლელოს“ არქივიდან)

პროფესიონალთა მსოფლიო ჩემპიონატი

მკლავჭიდელებს მკლავი დაუშვეს...

გასულ სამშაბათს, დილით, ერთადერთი რეისი შედგა მოსკოვიდან და თბილისში ჟენევიდან დაბრუნდა საქართველოს მკლავჭიდელთა დელეგაცია, რომელიც მსოფლიო მე-14 ღია ჩემპიონატში მონაწილეობდა. დელეგაციის ხელმძღვანელი, მკლავჭიდელთა ფედერაციის თავმჯდომარე და მთავარი მწვრთნელი, საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი ვახტანგ მუხელიანი აეროპორტიდან პირდაპირ პარლამენტში გამოცხადდა. სხდომებს შორის შესვენებისას კი რედაქციაში გვეწვია.

● „ლელოს“ მკითხველებს მოკლედ უკვე ვაუწყეთ ჩვენი მკლავჭიდელების წარმატებები. ახლა, თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ გადახდილი ბრძოლების შესახებ.

— მართლაც რომ დიდი ბრძოლები გადავიტანეთ. ხუმრობა არაა გაუმკლავდე მსოფლიოს 35 ქვეყნის რჩეულ ათლეტებს. ამას დაუმატეთ ის სიძნელეები, რაც შექმნილია ჩვენში. როცა იცი, შენს მიწა-წყალზე ომია და ახალგაზრდები სამშობლოს მთლიანობას ეწირებიან, სხვა თუ არაფერი, ფსიქოლოგიურ სტრესს ვერსად გაექცევი. მაგრამ ჩვენმა ათლეტებმა დაღუპული ბიჭებისა და სამშობლოს სახელით ვაჟკაცურად იბრძოლეს ჟენევაში.

● ამერიკელებს ბოლო წლებში ქართველები გამოუჩნდნენ მრისხანე კონკურენტებად. ამჟამად როგორი იყო ძალთა შეფარდება?

— ჩვენ ჩემპიონატზე წავიყვანეთ 11 მკლავჭიდელი. ერეკლე გურჩიანი ავად გახდა — შეჯიბრებაში ვერ ჩაება. მესტიელ ლერი სალლიანს კი მყესები დაუზიანდა, მაგრამ მაინც ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდა — IV ადგილზე გავიდა. დანარჩენი იცით: ზაურ ცხადაძე ორგზის ჩემპიონია — გაიმარჯვა მძიმე და აბსოლუტურ წონაში, ვერცხლის მედლები ხვდათ სოფრომ სანთელაძეს, დავით ქელიძეს და ჯიმი მერაბიშვილს, ბრინჯაოსი — ზაზა გუგენიშვილს, გია ხაჩიძეს, გელა ბეწუაშვილს და გია გვიჩიანს. ასე რომ, 11-დან 9 ათლეტი შინ მედლით დაბრუნდა. 50 და 65 კგ წონებში მონაწილე არ გვყავდა.

ახლა ამერიკელებზე: ჟენევაში გუნდი 35 ვაჟით ჩამოვიდა. ნუ გაგიკვირდებათ, დებულება ნებას რთავს, ყოველ წონაში ქვეყანამ 3-3 ათლეტი წარადგინოს, თანაც პროფესიონალებს გზა ხსნილი აქვთ. აქვე ვიტყვი: ჩემპიონატის ჟენეველებმა სანიმუშოდ უმასპინძლეს.

● ძალთა ასეთი შეფარდება იყო ამერიკელების დაწინაურების მთავარი მიზეზი გუნდურ პირველობაში?

— არა, გუნდური ჩემპიონობა მათ, შეიძლება ითქვას, არასპორტული და უსამართლო გზით მოიპოვეს.

იხ. მე 3 გვ.

ზაურ ცხადაძე

ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

ტრიუმფით საფრანგეთის ტატამზე

ვეტერან სპორტსმენთა ასოციაცია „ფალავანის“ კლუბ „მთაწმინდის“ ძიუდოისტები ორი ნაკრებით მონაწილეობდნენ საფრანგეთის ქალაქ ბეზიეში გამართული კლუბების საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 24 გუნდი იბრძოდა მთავარი პრიზისათვის. „მთაწმინდის“ პირველმა ნაკრებმა ყველა მეტოქე დაამარცხა და უძლიერესის სახელი მოიპოვა. მან ფინალში აჯობა საფრანგეთის პირველ ახალგაზრდულ ნაკრებს. ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდს წილად ხვდა III ადგილი.

შემდეგ საქართველოს ძიუდოისტებმა გადაინაცვლეს ქალაქ მარსელში, სადაც პირადი პირველობა გათამაშდა. თითოეულ წონაში რამდენიმე ათეულმა მოჭიდავემ მოიყარა თავი. ჩვენი სპორტსმენებიდან უძლიერესის ტიტული დაისაკუთრა მძიმეწონოსანმა **კობა კურტანიძემ**, მეორე ადგილებზე გავიდნენ: **დავით ბაგაური** (86 კგ.) და **ირაკლი უზნაძე** (78), მესამენი იყვნენ: **ლერი ყორღოლიანი** (95 კგ), **ბათო ჯიქური** (71) და **ამირან ტოტიკაშვილი** (65).

ეს ცნობები რედაქციის ტელეფონით მოაწოდა ასოციაცია „ფალავანის“ პრეზიდენტმა **გოდერძი ველიჯანაშვილმა**.

ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

14 ნოემბერი, შაბათი, 1992 წ.
№ 68 (10 725) ● ფასი 2 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ცნობები შანხაიდან

ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ასპარეზობის პირველი ნახევარი დასრულდა. გამოიკვეთა აშკარა ლიდერი, რომელსაც შეუძლია მშვიდად გააგრძელოს ბრძოლა — მეორე წრეს უნგრელი დიდოსტატი ჟუჟა პოლგარი 2,5 ქულის უპირატესობით დაიწყებს, იგი ზუსტად ამდენით ასწრებს ჯერჯერობით მეორე ადგილზე მყოფ იუგოსლაველ მოჭადრაკე ალისა მარიჩს, რომელმაც მერვე ტურის პარტია ყაიმით დაამთავრა და 5 ქულა აქვს.

ამ ტურში შეხვედრები კარგად დაიწყეს მაია ჩიბურდანიძემ — პოლგართან, გაფრინდაშვილმა — ჩინელ პენგთან, ნანა იოსელიანმა — ამერიკელ ირინა ლევიტინასთან, მაგრამ კარგი დასაწყისი კარგად დაასრულა მხოლოდ იოსელიანმა — მან დაამარცხა მეტოქე და 4 ქულა გაუხდა. ჩიბურდანიძესთან დუელში პოლგარმა იგრძნო, რომ თბილისელი დიდოსტატი მოგებაზე თამაშობდა და უპირატესობასაც მიაღწია, ალბათ ამიტომაც შესთავაზა ყაიმი მაიას, რომელმაც უნგრელის წინადადება არ მიიღო, მაგრამ მერე თანდათან ხელიდან გაუშვა ინიციატივა და საბოლოოდ წააგო კიდეც. ჩიბურდანიძეც 4 ქულით შეხვდება მეორე წრეს, რომელიც გუშინ უნდა დაწყებულიყო.

მაიას ბედი გაიზიარა ნონამაც — ვერც მან გამოიყენა ჩინელ მოჭადრაკესთან დებიუტში მიღებული უპირატესობა და იძულებული გახდა მეტოქისთვის გამარჯვება მიელოცა. ნონას 2,5 ქულა დარჩა.

ტექნიკური შედეგები

საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. II ქვეჯგუფი. თბილისი.

10 ნოემბერი. „მერანი“ (თბილისი) — „სოხუმი-91“ (სოხუმი) 122:97 (54:44), „ვითა“ (თბილისი) — „შევარდენი“ (თბილისი) 104:67 (48:36).

11 ნოემბერი. „სოხუმი-91“ — „შევარდენი“ 66:78 (40:37), „მერანი“ — „მართვე“ (თბილისი) 114:88 (62:41).

12 ნოემბერი. „მართვე“ — „ვითა“ 82:113 (48:60), „მერანი“ — „შევარდენი“ 97:73 (49:38).

ბეჟან ხურციძე საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე

ხუთშაბათს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე ფარული კენჭისყრით აირჩიეს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები. სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია **ბეჟან ხურციძე**.

დაიბადა 1947 წელს ვანის რაიონში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით. ახალგაზრდობის წლები სპორტს მიუძღვნა. დიდხანს იყო საქართველოს ნაკრები გუნდის კაპიტანი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორი და თასის მფლობელი. შედიოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში და ემზადებოდა მიუნხენის ოლიმპიური თამაშებისათვის.

დეპუტატად არჩევამდე მუშაობდა თბილისის ჩაის ფაბრიკის დირექტორად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რვაათასიანი" ქართველები

შარშან ჩვენმა ალპინიზმმა დიდ წარმატებას მიაღწია — 53 წლის რომან გიუტაშვილმა „მსოფლიოს ჭერზე" — ევერესტზე (8848 მ) შედგა ფეხი. მის მიერ „გაკვალულ" გზას „რვაათასიანებისკენ" წელს გაჰყვა ორი ქართველი ახალგაზრდა მთამსვლელი, კლუბ „იეტის" პრეზიდენტი გია თორთლაძე და ამავე კლუბის ქუთაისელი წევრი მერაბ ნემსიწვერიძე, რომლებმაც ჰიმალაის ერთ-ერთი ურთულესი მწვერვალი შიშაპანგმა (8013 მ) დალაშქრეს. გია თორთლაძე დღეს „ლელოს" სტუმარია.

● **როგორ მოხვდით ჰიმალაიზე?**

— სსრ კავშირის ალპინიზმის ფედერაციის ნაცვლად შარშან შეიქმნა ევრაზიის მთამსვლელობისა და მეკლდეურობის ასოციაცია, რომელშიც შედიან შუა აზიის, ბელარუსის, უკრაინისა და ლიტვის რესპუბლიკები. ასოციაციამ წელს მოაწყო საერთაშორისო ექსპედიცია ჰიმალაიში, სადაც მიგვიწვიეს ორი ქართველი მთამსვლელი.

● **ჰიმალაიში გამგზავრება უამრავ თანხასთან, კერძოდ კი, ვალუტასა და მაღალხარისხოვან ალჭურვილობასთანაა დაკავშირებული?..**

— დაგვაფინანსა ფირმა „ლილეო არტსმა", რომელმაც გაიღო თორმეტი ათასი დოლარი, რომლითაც გერმანიაში შევიძინე უახლესი აღჭურვილობა და ვიდეოაპარატურა.

12 სექტემბერს 9-კაციანი ჯგუფი ჩაფრინდა ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში. აქ იყვნენ ცნობილი მთამსვლელები, რომელთაც „რვაათასიანი მწვერვალების დაპყრობის დიდი გამოცდილება აქვთ. კერძოდ, ექსპედიციის ხელმძღვანელი, მოსკოველი ნიკოლაი ჩორნი სამ რვაათასიანზე იყო ნამყოფი, ვლადიმერ კოროტეევი კანჩენჯანგის ტრავერსის მონაწილეა, კატია ივანოვა ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ერთ-ერთი ქალია, რომელმაც ევერესტი დალაშქრა.

მარცხნიდან: გია თორთლაძე, ირინა ვოლინკოვა და მერაბ ნემსიწვერიძე კარავში 7600 მ. სიმაღლეზე.

● **რას წარმოადგენს ჰიმალაის მთიანეთი, რით განსხვავდება, ვთქვათ, პამირისა და ტიან-შანის მაღალმთიანეთისაგან?**

— პირველ ყოვლისა, სიმაღლე და განუწყვეტელი ცივი ქარი განაპირობებს მის სიმკაცრეს. ამიტომაც იზიდავს იგი მსოფლიოს მთამსვლელებს.

● **თვით შიშაპანგმაზე რას იტყვით?**

— შიშაპანგმა მდებარეობს ტიბეტის სამხრეთ-დასავლეთით, სხვა რვაათასიანებისგან კარგა განცალკევებით. ეს მწვერვალი ყველაზე გვიან — 1964 წელს დაიპყრეს ჩინელებმა. ძირითადად, ეს არის თოვლ-ყინულოვანი მარშრუტი, 7400 მეტრიდან კი იწყება კლდოვანი ქედი, რომელიც მწვერვალამდე გრძელდება. ერთი სიტყვით, ესაა კლასიკური რვაათასიანი მწვერვალი და ამით ყველაფერია ნათქვამი.

● **ყველაზე დიდი სირთულე მაინც რა იყო?**

— განუწყვეტელი ქარი, განსაკუთრებული ყინვა და ჟანგბადის ნაკლებობა. ეს კი საკმაოდ ძნელად დასაძლევია, განსაკუთრებით, როცა ჟანგბადის აპარატურას არ ხმარობთ.

● **სიტყვამ მოიტანა და, რატომ თქვით უარი ჟანგბადის ბალონზე?**

— დღეს მსოფლიო ალპინიზმში გავრცელებულია აზრი, რომ ჟანგბადის აპარატურის გამოყენება უახლოვდება დოპინგს და მისი მეშვეობით ასვლა ნაკლებად პრესტიჟულია.

შიშაპანგმას ხედი ძირითადი ბანაკიდან.

● **მწვერვალამდე რამდენი ბანაკი გქონდათ?**

— ოთხი: 5600 მეტრზე გვქონდა საიერიშო ბანაკი, მერე ბანაკები დავეცით 6400, 7000 და 7360 მეტრზე. ცხრავე მთამსვლელი ავიდა მწვერვალზე. აქედან ორი ჟანგბადის აპარატურით.

● **ჰიმალაის მთები ალხავსეა სიურპრიზებით. თქვენ რას გაიხსენებდით?**

— რაც ჩვენ — მე და მერაბ ნემსიწვერიძეს — შეგვემთხვა, მთლად სიურპრიზი არ ეთქმის, რადგან ამას ველოდით. საქმე ის იყო, რომ მწვერვალს ერთდროულად შევუტიეთ ჩვენ და იაპონელებმა. ისინი ერთი კვირის ჩამოსულები იყვნენ ჩო-ოიუდან (8201 მ) და როგორც კი 7700 მეტრს მივაღწიეთ, იაპონელებმა რაციით საბაზო ბანაკიდან მიიღეს ინფორმაცია შტორმის მოახლოების შესახებ, უყოყმანოდ აიკრეს გუდა-ნაბადი და შემოგვთავაზეს მიგვებაძა მათთვის. უარი განვაცხადეთ და გზა განვაგრძეთ. 10 ოქტომბერს, 13 საათზე მწვერვალს მივაღწიეთ, რასაც ოთხსაათნახევარი მოვანდომეთ. ეს სარეკორდო დრო იყო ჩვენი გუნდისთვის. პირველმა ჯგუფმა — ვლადიმერ კოროტეევი, ნიკოლაი ჩორნი და ირინა ვოლინკოვა (ჟანგბადით) — ხუთი საათი და ათი წუთი მოანდომა ასვლას.

— გეგმები? თუ მშვიდობა იქნა და ვალუტა ვიშოვეთ, მიწვეული ვარ ჰიმალაის რამდენიმე ექსპედიციაში და, რა თქმა უნდა, დიდი სურვილი მაქვს, მოვაწყოთ პირველი ქართული ექსპედიცია ევერესტზე...

ესაუბრა

უშანგ ჟიჟინაძე

რეკორდსმენიდან — რეკორდსმენამდე

ელენე გოკიელი

წერილი მეორე

—**ეს** გოგო კარგი მძლეოსანი დადგება, ისე მარდად დაქრის სართულიდან სართულზე — გადაულაპარაკა მიხო ცხვედაძემ აპოლონ ოჩიგავას — ჩვენ რომ ვეძებდით, სწორედ ის არის!

„ზიფსის" (ამიერკავკასიის საინჟინრო-სატრანსპორტო ინსტიტუტის) მექანიკური ფაკულტეტის მდივანი, ახალსკოლადამთავრებული ელენე გოკიელი მართლაც საოცრად მკვირცხლი და მოუსვენარი გოგო იყო. 107-ე შრომის სკოლა (გერმანული) ხომ აკლებული ჰქონდა.

ლენას ენერგია, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენია სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს და მომავალი ჩემპიონი ერთდროულად სპორტის რამდენიმე სახეობაში გამოსცადა — კალათბურთში, ფრენბურთში, ველოსპორტში, მძლეოსნობაში...

თავში მოუგახსენეთ ცხვედაძისა და ოჩიგავას აღმოჩენის შესახებ. ბევრი არც უფიქრიათ — სპორტის ამ ენთუზიასტებმა (ისინი მაშინ „ზიფსის" მეხუთე კურსზე სწავლობდნენ) იქვე შესთავაზეს 16 წლის ლენას მეორე დღეს სტადიონზე მისულიყო — ახალ სპორტულ ფორმას და მძლეოსნურ „ჩუსტებსაც" მოგცემთ უფასოდ, შენ ოღონდ შეჯიბრებაზე გამოდიო.

იწყებოდა რესპუბლიკის პირველობა სტუდენტთა შორის. ლენა... ერთდროულად 9 სახეობაში გამოიყვანეს — 100, 200, 400 და 800 მეტრზე რბენაში, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში, ბირთვის კვრაში, ამანათრბენში 4X100 და ე. წ. შვედურ (400+300+200+100) ამანათრბენში.

ახალბედა სპორტსმენმა რვა სახეობაში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო 800 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა და რესპუბლიკის სტუდენტთა ახალი რეკორდი დაამყარა. ეს იყო 1934 წელს...

ასეთი რამ მოგვიანებითაც რამდენჯერმე განმეორდა. ერთხელ, როდესაც ე. გოკიელმა ამიერკავკასიის ტრადიციულ სპარტაკიადაზე ცხრა სახეობიდან შვიდი მოიგო, ორში მეორე იყო და, ვინ იცის, რამდენი ქულა შემატა საქართველოს გუნდს, მოსკოვიდან, ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტიდან ბრძანება მოვიდა: „აეკრძალოს ამხ. ე. ს. გოკიელს სამ სახეობაზე მეტში გამოსვლა". აი ასე, არც მეტი, არც ნაკლები!

48-ჯერ განაახლა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა (შემდგომში დამსახურებულმა მწვრთნელმა) ელენე გოკიელმა საქართველოს რეკორდები მძლეოსნობაში. არადა, თავდაპირველად ყველას უკვირდა: თავადის ქალის მაღლენა თუმანიშვილის ქალიშვილს რა უნდა სპორტშიო?!

— ერევანში, ამიერკავკასიის სპარტაკიადაზე, საკმაოდ კომიკურ სიტუაციაში გავიმარჯვე — იხსენებს ე. გოკიელი — მთხოვეს 800 მეტრზეც გამოვსულიყავი, მონაწილე არ გვყავსო. გარბენი ფეხბურთის მატჩის შესვენებისას მოეწყო. იმ დღეს ჩვენი „დინამო" თამაშობდა. გასახდელში ჩვენი ბიჭები არ წასულან, სარბენი ბილიკის ირგვლივ განლაგდნენ და რაც შეეძლოთ მამხნევებდნენ. ბოლო 100 მეტრს ქანცგაწყვეტილი გავრბოდი, ჩემს გვერდით კი, მინდორზე... ბორის პაიჭაძე მორბოდა და თან ხმამაღლა მომძახოდა: „ჩემი ძალა შენ, ჩემი ძალა შენ!.." წარმოიდგინეთ, მოვიგე ის გარბენი...

ქალბატონმა ელენემ ცრემლმორეულმა ახედა იქვე, მისი სამუშაო კაბინეტის (იგი უკვე 23-ე წელიწადია თსუ-ს ფიზაღზრდის კათედრის გამგეა, დოცენტი) კედელზე გაკრულ ბორის პაიჭაძის პორტრეტს...

ზუსტად ერთი წლის შემდეგ ლენამ პირველად მოსინჯა ძალა სტუდენტთა საკავშირო შეჯიბრებაზე მოსკოვში. იგი სიგრძეზე ხტომაში გამოვიდა ქვეყნის უძლიერეს მძლეოსნებთან ერთად და... ყველა მეტოქე დაჯაბნა. 5 მეტრი და 36 სანტიმეტრი — ეს მაშინ საკმაოდ კარგი შედეგი იყო. პრესამ ეს გამარჯვება სენსაციად მიიჩნია. გოკიელი ქვეყნის ნაკრებში შეიყვანეს.

თბილისში ჩამოსვლისას ელენემ საკავშირო რეკორდიც დაამყარა ადგილიდან სამხტომში — 7,56 მეტრი აჩვენა. ესეც სენსაცია იყო.

РОНСЕ
ТБИЛИСИ
ელენე გოკიელი



◆

ელენე გოკიელი (შარჟი გამოქვეყნდა 1945 წელს ჟურნალ „ნიანგში". მხატვარი ნიკოლოზ მიქაბერიძე).

◆

ამის შემდეგ მან ზედიზედ შეუტია საქართველოს რეკორდებს 100, 200 და 400 მეტრზე რბენაში, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში, თარჯრბენში 80 მეტრზე. ნიჭიერ მძლეოსანს უკვე ცნობილი სპეციალისტი ბორის დიაჩკოვი ავარჯიშებდა. ლენას განსაკუთრებით უყვარდა და ეხერხებოდა თარჯრბენი. ევროპის III ჩემპიონატის წინ (იგი ოსლოში იყო დანიშნული), 1946 წლის აგვისტოს, მოსკოვში შესარჩევ ასპარეზობაზე უძლიერესი თარჯმორბენლები შეიკრიბნენ. ქართველმა სპორტსმენმა ყველას აჯობა, ფინიშზე წამმზომის ისარი 11,3 წამზე „შეაჩერა" და ოსლოშიც ის გაემგზავრა.

სხვათა შორის, მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციის ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა მუშაკმა, ეტყობა, ვერ აიტანა „ქართველის თავხედობა" და ოფიციალური საჩივრით მიმართა ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს ნიკოლაი რომანოვს: „რატომ უშვებთ აზიელებს ევროპის ჩემპიონატზე?" პასუხმა არ დააყოვნა: რა გენაღვლებათ, ისინი ხომ ჩვენი სპორტის ღირსებას იცავენო.

— რას იზამდნენ, მე ხომ აშკარად დავჯაბნე მეტოქენი. ასე იყო ბევრჯერ.

— მე და დუმბაძე დიდი უპირატესობით ვამარცხებდით კონკურენტებს და ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი იძულებული ხდებოდა ჩვენ წავეყვანეთ ჩემპიონატებსა და ოლიმპიადაზე.

ნორვეგიის დედაქალაქში ე. გოკიელის უმთავრესი მეტოქე იყო დიდებული ჰოლანდიელი მორბენალი ფანი ბლანკერს-კოენი, მსოფლიო რეკორდსმენი (11,1), კონტინენტის ჩემპიონი. ამჯერად ოსლოს „ბიშლეტის" სტადიონზე მან მხოლოდ 11,8 აჩვენა, თუმცა 0,1 წამით მაინც აჯობა ე. გოკიელს.

ზედიზედ გამოდიოდა ე. გოკიელი პრაღაში, ბუქარესტში, ბუდაპეშტში, მოსკოვში, პეკინში გამართულ დიდ შეჯიბრებებში და მეტწილად პირველი იყო თავის საყვარელ თარჯრბენში.

1950 წელს ე. გოკიელმა კვლავ იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე, ბრიუსელში. აქაც უბერებელმა ბლანკერს-კოენმა გაიმარჯვა (11,1). ელენე კი მეექვსე იყო, მას ახალგაზრდა მოსკოველმა მარია გოლუბნიჩაიამაც გაუსწრო ზედ ფინიშზე.

1956 წელს 38 წლის ელენე გოკიელი უკანასკნელად გამოვიდა მძლეოსნურ ბილიკზე. თბილისის „დინამოს" სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატი მიმდინარეობდა. 100 მეტრზე რბენის ფინალში ვეტერანს ეჯიბრებოდა ახალგაზრდა ნადია ხნიკინა — დვალიშვილი. გოკიელმა ბრწყინვალედ მოიგო სპრინტი და დაუმარცხებელმა დატოვა სარბიელი. ამ დროისათვის მის ვაჟს, 15 წლის გურამ გვინჩიძეს უკვე მოგებული ჰქონდა საკავშირო ახალგაზრდული პირველობა 110 მეტრზე თარჯრბენში და ელენემ მტკიცედ გადაწყვიტა: „დროა მივანებო აქტიურ სპორტს თავი და გურამსა და სხვა ნიჭიერ ახალგაზრდა მძლეოსნებს გავუწიო მწვრთნელობა".

ჩვენ არ შევუდგებით აქ მისი მოწაფეების გამარჯვებათა აღწერას, მხოლოდ მათ სახელებს ჩამოვთვლით. ევროპის ჩემპიონები: ანატოლი მოშიაშვილი და ლიუდმილა იევლევა, მრავალ შეჯიბრებათა გამარჯვებულები და პრიზიორები: მამია ტუღუში, გიორგი ლეჟავა, ლერი ანთაძე, მერი ქოჩლაძე, ჯულიეტა ოდილავაძე, ციალა თეთრაძე, არაქსი ოვივიანი, ზერო ჯარაშნელი, გერბერტ თურმანიძე...

ოთარ ნოზაძე

ეროვნული

ჩვენ კიდევ ვითამაშებთ...

„შევარდენი-1906“ (თბილისი, საქართველო) — „არარატი“ (ერევანი, სომხეთი) 2:0 (1:0).

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 12 ნოემბერი.

„შევარდენი-1906“: დევაძე, ელიაშვილი (კოპალეიშვილი, 57), მაჭავარიანი, ჩადუნელი (სამხარაძე, 57), ჯიშკარიანი, გელაძე, ნემსაძე, მელქაძე, გოგიჩაიშვილი, ყიზილაშვილი (ჭიქია, 65), მინაშვილი (ხურცილავა, 46).

„არარატი“: აბრამიანი, შაჰგელდიანი, სარქისიანი (აივაზიანი, 85), გრიგორიანი, სტეპანიანი, პეტროსიანი (ბარსეღიანი, 46), ენგიბარიანი, ტონოიანი, მხითარიანი, მნაცაკანიანი (ბეგლარიანი, 90), იაგბერიანი, (ნაზარიანი, 46).

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ე. სილაგავა (თბილისი), მ. ბერიძე (ახპინძა).

გოლები: მ. მინაშვილი (30), გ. ხურცილავა (67).

მეზობელი რესპუბლიკის ახლო წარსულში უპირველესი საფეხბურთო კლუბის ერევნის „არარატის“ თბილისში სტუმრობა თავისებური გაგრძელებაა ორი ქვეყნის ტრადიციული სპორტული ურთიერთობისა. ერევნელთა კლუბს მისთვის პირველ ოფიციალურ ამხანაგურ მატჩში თბილისის „შევარდენი-1906“-მა უმასპინძლა. სომხეთის ეროვნული ჩემპიონატი უკვე დასრულდა და „არარატი“ მესამე ადგილზე გავიდა.

ეს შეხვედრა საქველმოქმედო გახლდათ, შემოსული თანხა გადაირიცხა ჩვენი რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში. გარდა ამისა, „შევარდენი-1906“-მა კლუბის ბიუჯეტიდან ამ თანხას 50 ათასი მანეთიც დაუმატა.

თბილისელებმა პირველ ტაიმში ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს „არარატის“ კართან, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოირჩეოდა ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე დავით ყიზილაშვილი, რომელიც მთელი ტაიმის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა მეტოქის დაცვას, მაგრამ მისი დამაგვირგვინებელი დარტყმები უზუსტო იყო, ხშირ შემთხვევაში კი კარგად თამაშობდა არტურ აბრამიანი. თუმცა, თბილისელთა ერთ-ერთი იერიშისას, მან ვერ შეძლო გია ჯიშკარიანის მიერ შორი მანძილიდან ძლიერად დარტყმული ბურთის დამორჩილება, ხელიდან გაუვარდა იგი და... მინაშვილმა კარგად გამოიყენა აბრამიანის შეცდომა — 1:0. ტაიმის მიწურულს ყიზილაშვილს კიდევ ერთხელ მიეცა სტუმართა კარის აღების კარგი შესაძლებლობა — იგი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ აბრამიანმა ბოლო მომენტში დაასწრო და განმუხტა მდგომარეობა.

მეორე ტაიმი პირველთან შედარებით ნაკლებად საინტერესო გამოდგა, საგრძნობლად იკლო თბილისელთა იერიშების სიმწვავემ, მეტოქენი ბურთს უმეტესად მინდვრის შუაგულში ათამაშებდნენ. „არარატის“ მცველებს ერთ მომენტში ძვირად დაუჯდათ დაშვებული შეცდომა — გიორგი ხურცილავა მეკარესთან პირისპირ დატოვეს და მანაც ახლო მანძილიდან მეორედ აიღო სტუმართა კარი.

რამინ ყურაშვილი

* * *



მკლავჭიდელებს მკლავი დაუბეს...

(დასასრული)

● **რას გულისხმობთ?**

— პირველ ყოვლისა, არაობიექტურ მსაჯობას. შეჯიბრებაში, სადაც მონაწილეობენ ამერიკელები, ყველგან იგრძნობა მათი დიქტატი. მეტწილად ისინი არიან მთავარი მსაჯები, საერთოდაც, მსაჯთა კორპუსში ამერიკელები ყოველთვის უმრავლესობას წარმოადგენენ, ან რა მნიშვნელობა აქვს, სხვებიც მათთან ალიანსში არიან, როცა საქმე ეხება ამერიკელებთან მეტოქეობას. ამჟამადაც ასე იყო. მკლავჭიდში მსაჯობაზე ყველაფერია დამოკიდებული, თუ მოინდომებ, უძლიერესსაც გამოთიშავ ასპარეზობიდან, იმდენი წვრილმანია შარის მოსადებად. ერთ წამში მსაჯმა 5-6 შეცდომა უნდა შენიშნოს და დააფიქსიროს. ჟენევაში მთავარი მსაჯი ხანდაზმული იყო, სწრაფი რეაქცია არ ჰქონია, მაგრამ რატომღაც ის კაცი საოცრად ენერგიული ხდებოდა და არაფერი გამოეპარებოდა, როცა ჩვენი მკლავჭიდელები იბრძოდნენ. ქართველებს თითქმის ყველა რეფერი ავიწროებდა, რათა ამერიკელებს ხელი არ შეშლოდათ გუნდურ პირველობაში. კურიოზიც მოხდა: ტექნიკით თითქმის ყველასგან გამორჩეულ თბილისელ დათო ჰელიძეს, საფინალო შეხვედრაში, რაკი მეტოქეებმა ასხლეტის გამო ერთმანეთის მაჯა ვერ მოიხელთეს, მსაჯმა ორივეს ხელები დაუბა (წესით ეს დასაშვებია), დათო მაჯაზე ზემოდან დაწოლით აღწევს უპირატესობას, ხელების შეკვრით კი ეს უპირატესობა დაკარგა. ამიტომ გავიდა მეორე ადგილზე.

მსაჯების გამო უკმაყოფილება ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა. უკვე ლაპარაკობენ, რომ შეიქმნას ევროპის ფედერაცია და თავიდან მოიშორონ ამერიკელთა დიქტატი. ეს ხმები ჟენევაში მყოფ საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ამერიკელ ბობ ილორის ყურამდეც მივიდა. ვნახოთ, რა მოხდება.

● **ზემოთ გვაგრძნობინეთ, რომ მხოლოდ მსაჯებით არ ხართ უკმაყოფილო.**

— იცით, თანამედროვე სპორტში რა მკაცრად ებრძვიან დოპინგს. მკლავჭიდში კი სრული განუკითხაობაა — არავითარი კონტროლი. ამით სარგებლობენ სპორტსმენები და... ახლა წარმოიდგინეთ თითქმის უჭმელი კაცის და დოპინგმიღებული ათლეტების პაექრობა. ხელმიშვებულობა უკვე ყოველგვარ საზღვრებს სცილდება.

● **საქართველოს ფედერაციას, როგორც საერთაშორისო ფედერაციის სრულუფლებიან წევრს, ხომ აქვს უფლება ეს საკითხები ოფიციალურად დააყენოს კონგრესის სხდომაზე.**

— რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ ჯერ თავს ვიკავებთ, როგორც გითხარით, ეს პრობლემები სხვებსაც აღელვებთ...

● **მედლების განაწილებაში როგორია თანაფარდობა ამერიკა—ევროპის დუელში?**

— შვიდი ოქროს მედალი ევროპელებმა მოიგეს, ოთხი ამერიკელებმა, ერთი — კანადელებმა.

● **რომელი ქვეყნები მონაწილეობდნენ ძლიერი შემადგენლობით?**

— ესპანელები, გერმანელები, რუსეთი, ისრაელი...

● **ფავორიტად რომელ ათლეტს თვლიდნენ?**

— რა თქმა უნდა, ცხადაძეს.

● **ახლა სპორტსმენების უცხოეთში გამგზავრება მრავალ პრობლემასთანაა დაკავშირებული, ვინ დაგეხმარათ?**

— საქართველოს მთავრობა, პირადად ბატონი თენგიზ სიგუა, სპორტისა და ტურიზმის მინისტრი ბატონი კახი ასათიანი, „ივერთბანკი“, პიროვნულად ზურაბ ვაშაკიძე.

● **უახლოეს პერიოდში სად გამოვლენ ქართველი მკლავჭიდელები?**

— დეკემბერში მიწვეული ვართ იაპონიაში დიდ კომერციულ ტურნირში, მაგრამ ვერ წავალთ, ახლა ყველაზე დიდი პრობლემაა მოსკოვში გაფრენა და უკან დაბრუნება.

● **კიდევ ერთი შეკითხვა: ადრე გვეუბნებოდით, რომ იგეგმება 1993 წლის ევროპის ჩემპიონატის საქართველოში ჩატარება...**

— იმ პირობებში, დღეს რომ ვიმყოფებით, არ ღირს რისკის გაწევა, საქართველოს სახელს უნდა გავუფრთხილდეთ.

● **გემრავლოთ წარმატებები...**

— გვერწმუნეთ, გულშემატკივრებს არასდროს გავაწბილებთ.

ესაუბრა თ. თომაშვილი

* * *

ფეხბურთი დარბაზში

დარბაზის ფეხბურთი სულ უფრო იძენს პოპულარობას. დასტურად ბათუმში ამ დღეებში გამართული რესპუბლიკური ასპარეზობაც გამოდგება, გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ხიდისთავის „ქართლი“ და თბილისის „რიო“. გაიმარჯვა „ქართლმა“ — 5:1. გუნდს თასი და დიპლომი გადაეცა. დეკემბერში მოსკოვში ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი. ჩვენი ეროვნული ნაკრები შეუდგა ამ ტურნირისათვის მზადებას.

„ლელოს“ კორ.

ცნობისათვის: დარბაზის ფეხბურთი დაიბადა ლათინურ ამერიკაში, ყოველწლიურად ტარდება ამ ქვეყნის ჩემპიონატი. საერთაშორისო ფედერაცია აერთიანებს 45 ქვეყანას, ევროპისა — 15. 1982, 1985 1988 და 1991 წლებში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატები. ევროპის ჩემპიონატები მოეწყო 1988 და 1990 წლებში. წლეულს კი ევროპის თასიც გათამაშდა პორტუგალიაში.

თურქეთის ქართველობა: სერიოზული საფეხბურთო ძალა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოგეხსენებათ, უცხოელებიც სწავლობენ. ჩემს, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსზე, მაგალითად, ოთხი ქართველია თურქეთიდან: ალი ვეზირიშვილი, მურად მახარაძე, ავთანდილ და ხაკან გოგიტიძეები. ცხადია, ხშირად ვსაუბრობთ მათთან თურქეთის ქართველობის ცხოვრებაზე და ბევრ საინტერესოსაც ვიგებთ. იმაზე, რომ ქართველები აქტიურად მოღვაწეობენ თურქეთის პოლიტიკურ ასპარეზზე და ბიზნესში, მრავალჯერ თქმულა და დაწერილა ჩვენში, იქაურ ქართველთა სპორტულ საქმიანობას კი ნაკლებად ვიცნობთ. ვფიქრობ, „ლელოს“ მკითხველებს, განსაკუთრებით კი ფეხბურთის მოყვარულებს, დააინტერესებთ ის ფაქტები, მურად მახარაძემ და ალი ვეზირიშვილმა რომ გვაცნობეს.

თურქეთის ფეხბურთელთა ნაკრების ძირითად შემადგენლობაში, თურმე, ექვსი ტომით ქართველი ფეხბურთელი გამოდის: მეკარე იფექოღლი, მცველი ახმედ ხუფხი, ნახევარმცველები — ჩეთინ ოუზი და თურან სოფუოღლი, თავდამსხმელები — აიქუთ ქოჯამანი და ალი გულთექინი (სამწუხაროდ, ჩემმა მოსაუბრეებმა არ იცოდნენ ამ ფეხბურთელთა ქართული გვარები). ყველა ეს ფეხბურთელი, ალი გულთექინის გარდა, კლუბ „ფენერბახჩეს“ წევრია, გულთექინი კი „ბეშიქთაშში“ თამაშობს. აიქუთ ქოჯამანი ორჯერ ზედიზედ თურქეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გამხდარა. ალიმ და მურადმა ისიც მითხრეს, რომ **ევროპაში შედეგიანობით ცნობილი ფეხბურთელი ტანჯუ ჩოლაკი წარმოშობით ლაზია.**

ზვიად თედოზაშვილი.

* * *

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ბერტი ფოგტსი უკმაყოფილოა

ცნობილმა გერმანელმა ფეხბურთელმა ამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა მიუნხენში განაცხადა, რომ კატეგორიულად წინააღმდეგია იტალიაში მოქმედი საფეხბურთო კანონისა, რომლის გამოც აქაურ კლუბებში მოთამაშე უცხოელი ფეხბურთელები ხშირად იძულებული ხდებიან უქმად ისხდნენ და ტრიბუნიდან უცქირონ თამაშს. ეს მაშინ, როცა ამ ფეხბურთელთა შორის გამოჩენილი ვარსკვლავებიც არიან. ფოგტსის აზრით, ფეხბურთის მსოფლიო და ევროპულმა ფედერაციებმა ამ საკითხზე აუცილებლად უნდა იმსჯელონ. იტალიაში მოქმედი კანონით, კლუბს უფლება აქვს მინდორზე გამოიყვანოს 3 უცხოელი ფეხბურთელი, დანარჩენები კი ამ დროს, ნებით თუ უნებლიეთ, ფუჭად აცდენენ დროს. ბ. ფოგტსმა ხაზი გაუსვა, რომ თომას ჰესლერი ამას წინათ იძულებული იყო მაყურებლის როლით დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან „რომამ“ ვერ შეძლო მისი მინდორზე გამოყვანა, კლუბს 3-კაციანი ლიმიტი ამოწურული ჰქონდა.

ბ. ფოგტსს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, მსოფლიო ფეხბურთის ბევრი საუკეთესო მწვრთნელი ასეთივე აზრისაა. ისინიც იზიარებენ იმ შეხედულებას, რომ ჰესლერი, გულიტი, ვან ბასტენი და მათი ტოლი ოსტატები ხშირ შემთხვევაში იძულებით „შვებულებაში“ იმყოფებიან ხოლმე.

● **ყაზახეთის** საფეხბურთო ჩემპიონატში ლიდერობას ინარჩუნებს ალმა-ათის „ქაირათი“, რომელმაც 24 შეხვედრაში 36 ქულა დააგროვა. 25 თამაშის შემდეგ შესაბამისად 34 და 33 ქულა აქვთ პავლოდარის „ტრაქტორს“ და „ეკიბასტუზეცს“.

● **გამოვლინდა** რუსეთის 1992 წლის საუკეთესო ფეხბურთელი. ეს წოდება მოიპოვა მოსკოვის „სპარტაკის“ მოთამაშემ ვ. ონოპკომ.

Intourist

საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ტურისტული გაერთიანება „ძველი ინტურისტი“ სთავაზობს

ყველა დაინტერესებულ პირს და ორგანიზაციას ინგლისური, ფრანგული, გერმანული, პოლონური ენების შესწავლას სამთვიანი, ექვსთვიანი, ერთწლიანი პროგრამით, როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად, სწავლების ფასი ჩვენთან ყველაზე ხელმისაწვდომია, შეიძლება მასწავლებლის მიწვევა ორგანიზაციაში, სწავლება დაიწყება 1 დეკემბერს.

აგრეთვე წერითი და ზეპირი თარგმანების შესრულებას უცხოური ენებიდან (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ქართულ და რუსულ ენებზე და პირიქით.

ფაქსით, ტელექსით, ტელეტაიპით, ტელეფონით, ქსეროქსით მომსახურებას უცხოელ პარტნიორებთან კავშირის დასამყარებლად, მოგემსახურებიან სპეციალისტები, რომელთაც აქვთ საზღვარგარეთ მუშაობის და უცხოელებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება!

დარეკეთ: 93-06-64, 93-07-64.

„ძველი ინტურისტი“ გთავაზობთ აგრეთვე მონაწილეობას უმაღლესი დონის კონფერენციაში „ტურიზმის ბიზნესი, ნიუ-იორკი, აშშ“, რომელიც ჩატარდება 1992 წლის 11-18 იანვარს, ვიწვევთ ტურისტული ფირმების, კომპანიების, ასოციაციების, ბანკების, სასტუმროების, რესტორნების ხელმძღვანელ მუშაკებს და სპეციალისტებს.

— გიშუამდგომლებთ გამოიწეროთ ჟურნალი „ტურისტული ინფორმაციის ბიულეტენი“ (გამოდის წელიწადში ექვსჯერ, რუსულ ენაზე), რომელშიც გაეცნობით საზღვარგარეთის ტურისტული ბაზრების საქმიანობას, საზღვარგარეთ მოგზაურობის პირობებს.

ცნობებისათვის დარეკეთ: 93-06-93.

ჩვენი მისამართია: თბილისი, რკინის შესახვევი № 6. მეტეხის ხიდთან, „ძველი ინტურისტი“.

ИНТУРИСТ

* * *

რა ხდება ქვეყანაზე

● **როგორც** ცნობილია, ფეხბურთში მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი გაიმართება საფრანგეთის სტადიონებზე. უკვე დაინიშნა საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობა. ერთ-ერთი მათგანია საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი და მწვრთნელი მიშელ პლატინი, მეორე — საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ექს-პრეზიდენტი ფერნან სასტრი. ამ დანიშვნასთან დაკავშირებით პლატინიმ განაცხადა: „სამ მსოფლიო ჩემპიონატში მივიღე მონაწილეობა და ვერც ერთ მათგანში ვერ გავიმარჯვე. იმედი მაქვს, დიდი ხნის ნატვრას ამჯერად მაინც ავისრულებ“.

● **შარშან** იტალიის ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში მოიგო ტრევიზოს „ბენეტონმა“. ეს გუნდი წლეულსაც ლიდერთა ჯგუფშია, თუმცა მეცხრე ტურში დამარცხდა ბოლონიის „კნორთან“ — 86:95. ბოლონიის კალათბურთელებმა, რომლებმაც ზედიზედ რვა შეხვედრა მოიგეს, ხელთ იგდეს ლიდერობა. დაწინაურებულთა შორის (III-IV ადგილებზე) იმყოფებიან „პანასონიკი“ (რეჯიო-კალაბრია) და „ფილიპსი“ (მილანი).

● **დაზუსტდა** პროფესიონალ ველოსიპედისტთა ერთ-ერთი პრესტიჟული რბოლის — ესპანური „ვუელტას“ მარშრუტი და გრაფიკი (1993 წლის გაზაფხულისთვის): 3465-კილომეტრიანი ტრასა დაყოფილი იქნება პროლოგად და 20 ეტაპად. ყველაზე გრძელია მეცხრამეტე, ბოლოსწინა ეტაპი — 225 კილომეტრი. ველორბოლის სტარტი დანიშნულია 26 აპრილისთვის ლა-კორუნიაში. ფინიში შედგება რენტიაკუს-სამპოს-ტელეში და არა მადრიდში, როგორც ეს ადრე იყო ნავარაუდევი. დედაქალაქს ველოსიპედისტები მეექვსე ეტაპზე მოინახულებენ.

● **ბავარიის** დედაქალაქ მიუნხენში გაიმართა ევროპაში პოპულარული ველოშეჯიბრება — წყვილთა ექვსდღიანი რბოლა. ოთხი დღის შემდეგ წინ იყვნენ იტალიელები ადრიანო ბაფი და პიეტრანჯელი ბინკოლეტო. მაგრამ მეხუთე და მეექვსე დღეს უკეთ იასპარეზა ოლაფ ლუდვიგისა (გერმანია) და ურს ფრომლერის (შვეიცარია) ინტერნაციონალურმა დუეტმა, რომელმაც საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც — 491 ქულა. იტალიელები ამ წყვილს 13 ქულით ჩამორჩნენ.

● **კალათბურთელ** ვაჟთა ევროპის 1993 წლის ჯგუფურ შესარჩევ ტურნირებზე დაიწყო დასკვნითი ეტაპი. II ჯგუფში ისრაელის ნაკრებმა მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა გერმანიის გუნდთან შეხვედრაში — 83:74 — და ხელთ იგდო ერთპიროვნული ლიდერობა — სამი გამარჯვება ოთხიდან. მომდევნო ადგილებზე არიან: გერმანია — 2, პოლონეთი — 2, პორტუგალია — 0. IV ჯგუფში დაწინაურდა საბერძნეთი (4 შეხვედრა, 4 მოგება), რომელმაც ბოლო მატჩში უნგრეთის გუნდს აჯობა — 83:68. შემდეგ მოდიან: შვეცია — 2, რუმინეთი — 1, უნგრეთი — 0.

● **ბრემენი.** ჩოგბურთის ვეტერანმა, ამერიკელმა ჯონ მაკინროუმ გერმანიის ამ ქალაქში გამართა საჩვენებელი შეხვედრა კორტის მასპინძელთან, შარშანდელ უიმბლდონში გამარჯვებულ მიხაელ შტიჰთან და მოიგო 6:3, 7:6. მატჩის შემდეგ მან ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ წლეულს თავს ანებებს სპორტს.

ეროვნული

რაგბი ● საქართველოს პირველობა

მოთამაშენი წავიდ-წამოვიდნენ

ამერის პირველი ჯგუფი. „ამირანი“ — „ხარები“ (რუსთავი) 8:3 (3:0) (ლ, ს:ს), „ქორები“ — „ვესტა“ 0:29, „თბილისი“ — „შევარდენი“ 27:45 (17:28) (2ლ, გ, 5ს:7ლ,5გ), „ვესტა“ — „თბილისი“ 44:22 (27:12) (7ლ,3გ,ს:ლ,გ,5ს), „ხარები“ — „ქორები“ 39:12 (10:5).

ამერის მეორე ჯგუფი. „უნივერსიტეტი“ — „შევარდენი“-II 0:17, „აკადემია“ — „ივერია“ 8:41, „ლელო“ — ხაშური 49:21.

იმერის ჯგუფი. „აია“ — „ერქვანი“ 38:10, „აიეტი“ — „აია“ II 3:6, „აია“ — „აიეტი“ 61:14; „აია“ — „აია“ II 58:0, „ერქვანი“ — „აიეტი“ 24:0.

საბაზრო ეკონომიკის ხელი ხელახლად დაწყებულ საქართველოს პირველობასაც დაეტყო. ბოლოსდაბოლოს, მოხდა ის, რაც გარდუვალად უნდა გამოეწვია საკავშირო სტრუქტურებიდან გამოყოფას. რაკიღა აზრი დაკარგა ერთი-ორი ზეკლუბის (ფაქტიურად, კი ნაკრების) არსებობამ, ისინი თავისით დაიშალნენ — მოთამაშენი წავიდ-წამოვიდნენ: უფრო ფხიანებმა თუ იღბლიანებმა საფრანგეთსა და ბელგიას მიაშურეს, ნაკლებ ფხიანები — ოღონდაც, არანაკლებ ნიჭიერნი — უკეთეს შემთხვევაში უკეთეს ქართულ კლუბებში თუ გადავლენ. მადლობა ღმერთს, ბიზნესმა, როგორც იქნა, მოწყალე თვალით შემოხედა ჩვენს რაგბის: „შევარდენის“ კვალად პატრონი იპოვეს „ვესტამ“, „ამირანმა“, „ერქვანმა“, „თბილისმა“, რუსთაველმა „ხარებმა“. მხოლოდ უძველესმა ქართულმა კლუბმა — სტუ-ს „ყოჩებმა“ ვერაფრით დაადგეს თავი საქმეს და, თუ ჭორებს ვენდობით, შესაძლოა, ჩემპიონატი მეორედაც მიატოვონ.

თუ ზაფხულის არდადეგების დროს გამართული „სარაგბო ბაზრობის“ შედეგებს შევაჯამებთ, იოლად დავადგენთ კლუბების პატრონთა რეიტინგს. ყველაზე მეტი მოთამაშე „ვესტამ“ გადაიბირა — 10, თუმცა კი თავადაც დიდი ზარალი ნახა, როცა რაფავა და ჩიქვინიძე რუსთავს წაუვიდნენ, ნარიმანიძე და კ. გიუნაშვილი კი — საფრანგეთს. მიმზიდველობით მეორე ადგილზეა „ამირანი“ — 8 ახალი წევრი, რომელთაგან თავაძე, დიდებულიძე და ა. ლიპარტელიანი საგანგებო აღნიშვნას იმსახურებენ. ამდენივე ახალწვეული ჰყავს „ქორებს“, ოღონდაც მეტწილად „უნივერსიტეტის“ გუნდიდან. „ხარები“ 5 მორაგბითა და ცნობილი მწვრთნელით — გურამ მოდებაძით გაძლიერდნენ, „ერქვანი“ და „თბილისი“ — 4-4 მოთამაშით, განძარცული „ყოჩები“ და „შევარდენი“ კი ხელცარიელნი დარჩნენ. ერთი კია, „შევარდენს“ ამით არაფერი დაჰკლებია და ამერის ჩემპიონობის მთავარ მოცილედაც რჩება, ვინაიდან ზურგს უმაგრებს მეორე გუნდი, რომელიც მეორე ჯგუფს უდანაკარგოდ ლიდერობს, საგულისხმო ფაქტია: ორივე „შევარდენმა“ საზაფხულო არდადეგების შემდეგ 11-11 მატჩი გამართა და ორივემ ყველა მოიგო!

გათამაშების ცხრილები

ამერის პირველი ჯგუფი

„ვესტა“	3	2	1	0	87:36	5
„შევარდენი“	2	2	0	0	96:38	4
„ხარები“	3	2	0	1	97:30	4
„ამირანი“	2	1	1	0	22:17	3
„ყოჩები“	1	0	0	1	10:55	0
„თბილისი“	2	0	0	2	49:89	0
„ქორები“	3	0	0	3	28:119	0

ამერის მეორე ჯგუფი

„შევარდენი“ II	6	6	0	0	189:28	12
„ივერია“	5	4	0	1	156:48	8
„ლელო“	3	2	0	1	76:51	4
„აკადემია“	6	2	0	4	62:174	4
„რაში“	4	1	0	3	28:57	2
„უნივერსიტ.“	5	1	0	4	19:103	2
ხაშური	3	0	0	3	35:101	0

იმერის ჯგუფი

„აია“	3	3	0	0	152:24	6
„ერქვანი“	2	1	0	1	34:33	2
„აია“ II	2	1	1	1	6:61	2
„აიეტი“	3	0	0	3	17:91	0

ზაზა ფხაკაძე

გიორგი ნიკოლაიშვილი

რიონისპირა პატარა სოფელი საჯავახო შეხვედრას უწყობდა აქ აღზრდილ და დავაჟკაცებულ ღირსეულ შვილს — გიორგი ნიკოლაიშვილს. ორატორები — მოსწავლეები, პედაგოგები, სამტრედიის რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები, თბილისიდან ჩამოსული სტუმრები სიყვარულით იხსენებდნენ ბატონ გიორგის დიდი ამაგისათვის, რაც მან დასდო ქართულ პედაგოგიკურ მეცნიერებას, ქართულ სკოლას, ერის საალმზრდელო სისტემას, განსაკუთრებით კი ფიზიკური აღზრდის თეორიასა და პრაქტიკას.

პედაგოგიკურ ასპარეზზე უკვე საკმაოდ ნაწრთობი მეცნიერი გიორგი ნიკოლაიშვილი 1947 წლიდან სათავეში ჩაუდგა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრას და 40 წლის მანძილზე წარმატებით უძღვებოდა მას. შექმნა 200-ზე მეტი შრომა, რომელთა შორისაც გამოირჩეოდა ვრცელი გამოკვლევა — „ფიზიკური აღზრდის ზოგადი საფუძვლები“. წიგნად გამოცემული ეს ნაშრომი მისი სადოქტორო დისერტაციაც იყო. ბატონმა გიორგიმ ბევრი გააკეთა აგრეთვე ფიზკულტურული კადრების მომზადების სისტემის სრულყოფისათვის. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე (1922-1927 წწ.), მუშაობდა განათლების ინსპექტორად დუშეთის რაიონში, იყო მეცნიერმუშაკი პედოლოგიის ინსტიტუტში, პედაგოგად თბილისის სკოლებში, დაამთავრა ასპირანტურა ლენინგრადში...

საქართველოს პედაგოგიური და სპორტული საზოგადოებრიობა ეთხოვება ბატონ გიორგის, პედაგოგს, მეცნიერსა და მოქალაქეს, რომელმაც თავისი კოლეგების, მეგობრებისა თუ ათასობით აღზრდილის გულში მწუხარებასთან ერთად დიდი მადლიერების წარუშლელი გრძნობაც დატოვა.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოება.

ტრაგედია და თანადგომა

ნოდარ ნუგზარაშვილი ელის თქვენს მხარდაჭერას

ჩვენი ცნობილი მოჭიდავე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი ძიუდოში ნოდარ ნუგზარაშვილი ამჟამად ლოგინსაა მიჯაჭვული და საჭიროებს საქართველოს ფარგლებს გარეთ მკურნალობას.

იმედი გვაქვს, რომ ბევრი მისი გულშემატკივარი და მეგობარი გულთან ახლოს მიიტანს ცნობილი ფალავნის ტრაგედიას და მატერიალურად მხარში ამოუდგება მის ოჯახს.

ნოდარ ნუგზარაშვილის სახელზე გახსნილია ანგარიში ქ. კასპის შემნახველ ბანკში (3508), რომელსაც ემსახურება კასპის აგრობანკი, ანგარიშზე 16401. პირადი ანგარიშია 103627.

გაწეული დახმარების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ „ლელოს“ რედაქციაში.

დოპინგი ყოველ ნაბიჯზე

ჯერ კიდევ ბარსელონაში ოლიმპიადის დაწყებამდე გერმანიის მთავრობის განკარგულებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტში ფართოდ დანერგილი სადოპინგო სამსახურის საქმიანობა და გულდასმით გაეანალიზებინა ყველა კონკრეტული შემთხვევა (ცხადია, ცნობილ სპორტსმენებთან დაკავშირებული). ეს დოკუმენტი თამაშების დამთავრების შემდეგ დაიგზავნა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში სპეციალური შესწავლის მიზნით.

გთავაზობთ ზოგიერთ, განსაკუთრებით საინტერესო ამონაწერს ამ ვრცელი ანგარიშიდან:

...დოპინგის სისტემატური მიღება აღმოსავლეთგერმანულ სპორტში დაიწყო 60-იანი წლების მიწურულიდან. ამას წინ უსწრებდა ექსპერიმენტები ცხოველებზე და სპორტული სკოლების მოსწავლეებზე, ამასთან, ანაბოლიური საშუალებები შეჰყავდათ ორგანიზმში წყლისა და საჭმლის საშუალებებით საიდუმლოდ, ბავშვებისა და მათი მშობლების თანხმობის გარეშე. ამ ცდების საშუალებით დაადგინეს, რომ დოპინგი შეიძლება გახდეს ფასდაუდები პროპაგანდისტული იარაღი სოციალისტური გერმანიის ძლიერების დასამტკიცებლად.

...1968 წელს მეხიკოში ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიურომ დაამტკიცა დოპინგის გამოყენების ოთხწლიანი სახელმწიფო გეგმა. პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას კანონის მნიშვნელობა ჰქონდა და იგი სავალდებულო იყო გდრ-ის ყველა საზოგადოებრივი და სპორტული ორგანიზაციისთვის.

...დოპინგით მანიპულაციებს უმაღლესი მიღწევების სპორტში ახორციელებდნენ სპორტული ორგანიზაციების მხოლოდ და მხოლოდ შტატიანი თანამშრომლები. საიდუმლო ინფორმაციით სარგებლობა შეეძლო მწვრთნელთა და ექიმთა განსაზღვრულ ჯგუფს. ისინი პოლიტიკურად საიმედო ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ. 1968 წლიდან მოყოლებული, ნაკრები გუნდების, კლუბებისა და ფედერაციების საქმიანობას მკაცრად აკონტროლებდა პარტიის საგანგებო წევრთაგან შემდგარი კომისია, რომელშიც შედიოდნენ სამედიცინო სამსახურის, დაზვერვისა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები.

...სპორტსმენები, მწვრთნელები და მათი ნათესავები მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. თუკი რომელიმე სპორტსმენი უარს იტყოდა დოპინგის მიღებაზე, მის წინაშე მაშინვე უამრავი პრობლემა ჩნდებოდა. დაუმორჩილებლობა ნიშნავდა ყველა უფლების ჩამორთმევას არა მარტო სპორტში, არამედ საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში.

ორი გერმანიის გაერთიანების შემდეგ სპორტის ახალმა ხელმძღვანელობამ ჩაატარა დახურული თათბირი, რათა გაერკვიათ, აქვთ თუ არა ყოფილ გდრ-ის მწვრთნელებს გაერთიანებულ გუნდებთან მუშაობის უფლება. ეს განსაკუთრებით ცურვის სპეციალისტებს ეხებოდათ. პასუხი, ცხადია, უარყოფითი იყო და ბევრი მწვრთნელი სამუშაოს საძებნელად უცხოეთში გაემგზავრა. იმათ კი, ვინც საზღვარგარეთ წასვლას შინ დარჩენა ამჯობინა, დეკლარაციით მიმართეს შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებს. ფინა-ს (ცურვის საერთაშორისო ფედერაცია) სახელზე გაგზავნილი დეკლარაცია ოთხი პუნქტისგან შედგებოდა: 1. დიახ, ჩვენ დამნაშავენი ვართ, მაგრამ არა მარტო ჩვენ. 2. ჩვენ არ გვქონდა არჩევანის საშუალება, მით უმეტეს, არ შეგვეძლო წინააღმდეგობის გაწევა. 3. ჩვენ მეტს აღარ დავაშავებთ. 4. გერმანელ მოცურავეთა მაღალი შედეგები ანაბოლიური საშუალებების მიღების შედეგი კი არ იყო, არამედ სპორტსმენთა მაღალი პროფესიონალიზმისა. განსაკუთრებით საკამათო გამოდგა მეოთხე პუნქტი, მით უფრო, თუ შევადარებთ ბოლო ორი ოლიმპიადის მედლებს. სეულში მოცურავეთა ტურნირზე გდრ-მ 28 მედალი მოიპოვა, ბარსელონაში გაერთიანებულმა გუნდმა კი მხოლოდ 11.

ცურვაში ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი კორნელია ენდერი ექიმისა და მწვრთნელისგან ვიტამინსაც კი არ იღებდა თურმე. სპორტიდან იგი წავიდა 18 წლის ასაკში ოლიმპიურ თამაშებში ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ. აი, სწორედ მაშინ, ენდერმა, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „დამღალა, გამათავა ამ ჯოჯოხეთურმა მაქინაციებმა. ვერ გაიგებ, სად მთავრდება სიმართლე და სად იწყება ტყუილი“.

კომისიამ გდრ-ის სპორტული ორგანიზაციების არქივების ქექვაში ვერც ერთი დოკუმენტი ვერ აღმოაჩინა სპორტსმენების, მწვრთნელების, ან ექიმების მაკომპრომეტირებელი. ორში ერთი: ან გდრ-ში საბუთების შენიღბვა ისეთსავე მაღალ დონეზე იდგა, როგორც დოპინგის წარმოება, ან ორი გერმანიის გაერთიანების შემდეგ ძველი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაწვეს ყველა საეჭვო დოკუმენტი. კომისიის თავმჯდომარის, გერმანიის უმაღლესი სასამართლოს ვიცე-ხელმძღვანელის გ. შორფის აზრით, მეორე ვარაუდი უფრო ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

ბიომექანიკის კათედრაზე

1. კათედრის გამგე — პროფესორი, 1 ერთეული

2. უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული, ტექნ. მეცნ. კანდიდატი

პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრაზე

1. კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, პედაგ. მეცნ. კანდიდატი (პედაგოგიკის სპეციალობით)

ფ.-ი აღზრდის თეორიის მეთოდიკის კათედრაზე

1. კათედრის პროფესორი — 1 ერთეული

საწყლოსნო სპორტის კათედრაზე

1. კათედრის მასწავლებელი — 1 ერთეული, ნიჩბოსნობის სპეციალობით.

კონკურსის ვადაა ერთი თვე, დღიდან გამოცხადებისა. ცნობების მიღება შეიძლება კადრების განყოფილებაში.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49. ტელეფონი: 23-09-02.

ხომ არ გიჭირთ მილიონერებო?

ამერიკულ ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით, სპორტსმენთა შორის ყველაზე დიდი შემოსავალი აქვს მაიკლ ჯორდანს — 35,9 მილიონი დოლარი. ამასთან, მისი წლიური ხელფასი არ აღემატება 3,9 მილიონ დოლარს. დანარჩენი 32 მილიონი მას სარეკლამო და სპონსორულმა კონტრაქტებმა მოუტანა („ნაიკი“, „ვილსონი“, „გეტორეიდი“, „მაკდონალდსი“). ჯორდანის აგენტის თქმით, მილიონიან კონტრაქტზე ნაკლებს მას აღარც სთავაზობენ.

აი, როგორ გამოიყურება მსოფლიოს 20 შემოსავლიანი სპორტსმენის სია:

1. მაიკლ ჯორდანი (კალათბურთი)	**35,9**
2. ევანდერ ჰოლიფილდი (კრივი)	**28**
3. აირტონ სენა (ავტორბოლა)	**22**
4. ნაიჯელ მენსელი (ავტორბოლა)	**14,5**
5. არნოლდ პალმერი (გოლფი)	**11,1**
6. ანდრე აგასი (ჩოგბურთი)	**11**
7. ჯო მონტანა (ამერიკ. ფეხბურთი)	**9,5**
8. ჯეკ ნიკლაუსი (გოლფი)	**9,2**
9. ჯიმ კურიე (ჩოგბურთი)	**9**
10. მონიკა სელეში (ჩოგბურთი)	**8,5**
11. ლარი ჰოლმსი (კრივი)	**8,2**
12. გერჰარდ ბერგერი (ავტორბოლა)	**8**
13. მაიკლ ჩენგი (ჩოგბურთი)	**8**
14. შტეფი გრაფი (ჩოგბურთი)	**7,8**
15. უეინ გრეცკი (ჰოკეი)	**7,5**
16. რიკარდო პატრეზე (ავტორბოლა)	**7,5**
17. სტეფან ედბერგი (ჩოგბურთი)	**7,3**
18. გრეგ ნორმანი (გოლფი)	**7,2**
19. ჯორჯ ფორმენი (კრივი)	**7**
20. ხულიო ს. ჩავესი (კრივი)	**7**

ამ ოცი გვარის საფუძველზე რამდენიმე საინტერესო კანონზომიერებას უნდა გაუსვათ ხაზი. ჯერ ერთი, იმას, რომ მსოფლიოს უმდიდრესი სპორტსმენები შვიდი სახეობის წარმომადგენლები არიან, ამათგან ხუთი სახეობა სხვადასხვა დროს ოლიმპიური დისციპლინა იყო (გარდა ავტორბოლისა და ამერიკული ფეხბურთისა). გაირკვა ისიც, რომ ყველაზე ბევრი „სუპერმილიონერი“ (ცხადია, ამ ოცეულის მიხედვით) ჩოგბურთელთა შორისაა, ხოლო ყველაზე ბევრი ფული ავტომობილისტებს აქვთ მიღებული. სულ ამ ოცი სპორტსმენის წილად წლიურად მოდის 234,2 მილიონი დოლარი. ქვემოთ გთავაზობთ „მილიონერი სპორტის სახეობების“ სიას (ფრჩხილებში აღნიშნულია ამ სახეობის სპორტსმენთა რაოდენობა ოცეულში).

1. ავტორბოლა (4) — 52
2. ჩოგბურთი (6) — 51,6
3. კრივი (4) — 50,2
4. კალათბურთი (1) — 35,9
5. გოლფი (3) — 27,5
6. ამერიკ. ფეხბურთი (1) — 9,5
7. ჰოკეი (1) — 7,5

ბოლოს რამდენიმე სიტყვა იმის თაობაზე, რომელი ქვეყანა როგორაა წარმოდგენილი ამ ოცეულში. მილიონერთა სიაში სულ 11 ქვეყნის სპორტსმენია შეყვანილი. ამათგან ყველაზე მეტი, ბუნებრივია, აშშ-ის წილად მოდის — 10.

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ხელბურთელ ვაჟთა გუნდის „კოლხეთი-90“-ის წევრები იუწყებიან რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი

ბოჩა დემეტრაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380008, მ. კოსტავას, 14, ტელ.: 99-30-62, 99-05-72. ინდექსი 00485 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „საქართველოს“ სტამბაში.